სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/27

ქ. თბილისი 22 ივლისი 2026

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესში“ ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ლ.ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 1 ივლისის №01-05-04/87 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2026 წლის 22 ივლისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 6 ივნისის №01-06-02/21 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „სსიპ -

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) წესის მე-3 მუხლს, მე-6 პუნქტის შემდეგ, დაემატოს 6^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„6^1. უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლაში სრულ საშტატო ერთეულზე აკადემიური პერსონალის წლიური აკადემიური დატვირთვა შეადგენს: პროფესორისთვის - 480 საათს, ასოცირებული პროფესორისთვის - 500 საათს, ასისტენტ-პროფესორისთვის - 520 საათს, ასისტენტისთვის - 540 საათს, ხოლო ნახევარ საშტატო ერთეულზე შესაბამისად, პროფესორისთვის - 240 საათს, ასოცირებული პროფესორისთვის - 250 საათს, ასისტენტ-პროფესორისთვის - 260 საათს, ასისტენტისთვის - 270 საათს. შრომის ანაზღაურება განისაზღვრება აკადემიური დატვირთვის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.“.

ბ) წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. კონკურსის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო გაცნობისათვის, რომელიც განცხადების სახით უნდა გამოიკრას უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილებში, მათ შორის ფაკულტეტებზე, ასევე უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.“.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**